ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 165

2014 წლის 16 დეკემბერი,
ქ. ბათუმი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ინა:

1. დამტკიცდეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015-2020 წლების სტრატეგიული განვითარების თანდართული გეგმა (დანართი 1);

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი **გურამ ჩაგანავა**

დანართი 1.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა

შინაარსი

- მისია
- მომავლის ხედვა
- უნივერსიტეტის ისტორია
- სამიზნე ჯგუფი
- მთავარი ღირებულებები
- მიზნები
- სამუშაო მიდგომები
- სასწავლო და კვლევითი პროცესის ვალიდაცია
- საუნივერსიტეტო გარემოს შეფასება
- მართვის სტილი
- სტრატეგიული მიზნები

მისია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ორიენტირებულია საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნებზე. მისი უპირველესი მისიაა:

- ✓ ყველა დაინტერესებულ პირს ეროვნების, სარწმუნოების და პოლიტიკური ნიშნით კუთვნილების მიუხედავად შესთავაზოს მაღალი ხარისხის განათლება.
- ✓ აღზარდოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალ-კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტი, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება.
- ✓ მოსახლეობის კეთილდღეობის, ეკონომიკური ძლიერების, თავდაცვისუნარიანობის, დემოკრატიული პრინციპების დაფუძნებისა და სულიერების ამაღლების მიზნით განახორციელოს ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევები საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარულ, სოციალურ, სამართალმცოდნეობის, მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებებში, საინჟინრო-ტექნოლოგიურ, ბიზნესის, ჯანდაცვის და სოფლის მეურნეობის დარგებში. ხელი შეუწყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას.

მომავლის ხედვა

- ✓ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროცესი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა განათლების ხარისხითა და ცოდნის დონით უნდა შეესაბამებოდეს და ინტეგრირებული იყოს საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში.
- ✓ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა გახდეს საგანმანათლებლო ცენტრი შავი ზღვის აუზის ქვეყნებისათვის.

უნივერსიტეტის ისტორია

1935 წელს ბათუმში გაიხსნა აჭარაში პირველი უმაღლესი სასწავლებელი – ბათუმის ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი 4 ფაკულტეტით.

1938 წელს ინსტიტუტს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელი. 1945 წლის ივნისში ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა პედაგოგიური ინსტიტუტი, რასაც ფართო რეზონანსი მოჰყვა საზოგადოებაში. დაისვა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის საკითხი. ორსართულიანი სასწავლო კორპუსი ვეღარ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნებს.

1952 წლისთვის დაიწყო ინსტიტუტის რეკონსტრუქცია. 1977 წელს კი, საფუძველი ჩაეყარა ახალი, ხუთსართულიანი კორპუსის მშენებლობას.

1990 წლის 3 სექტემბერს, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის N453 დადგენილებით, ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა სახელმწიფო უნივერსიტეტი.

საქართველოს მთავრობის 2006 წლის 23 თებერვლის№37 დადგენილების საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო, სახელოვნებო და ზოგიერთი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების გაერთიანებისა და რეორგანიზაციის შედეგად, ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 5 აპრილის N76/ნ ბრძანებით ცვლილება შევიდა უნივერსიტეტის დასახელებაში და ეწოდა ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.“

სამიზნე ჯგუფი

უნივერსიტეტი ორიენტირებულია საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნებზე. იგი ყველა დაინტერესებულ პირს სთავაზობს მაღალი ხარისხის განათლებას ეროვნების, სარწმუნოების და პოლიტიკური ნიშნით კუთვნილების მიუხედავად.

აბიტურიენტებს, სტუდენტებს, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დარგებში დასაქმებულ პირებსა და პრაქტიკოს-სპეციალისტებს უნივერსიტეტი სთავაზობს ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის პროფესიულ და აკადემიურ, აგრეთვე მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებს.

თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სპეციალისტის მომზადება ხანგრძლივი პროცესია, უფრო სწორად, ეს არის “სწავლა სიცოცხლის მთელი პერიოდის განმავლობაში”. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი დაინტერესებულ პირებს სთავაზობს მაღალი ხარისხის განათლებას, შემდეგი მიდგომების გამოყენებით:

- ✓ პრობლემებზე ორიენტირებული;
- ✓ გამოსავალზე დაფუძნებული;
- ✓ სპირალური მოდელი;
- ✓ დისტანციური სწავლება;
- ✓ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული.

მოდელის შერჩევა ხდება საბოლოო მიზნიდან გამომდინარე - “შედეგი განსაზღვრავს თავად პროცესს”.

მთავარი ღირებულებები

- ✓ ობიექტურობა
- ✓ სამართლიანობა,
- ✓ გამჭვირვალობა
- ✓ ეთიკისა და დეონტოლოგიის პრინციპების დაცვა
- ✓ დემოკრატია
- ✓ ჰუმანიზმი
- ✓ საჯაროობა

მიზნები

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი საგანმანათლებლო ცენტრია. მისი მთავარი დანიშნულებაა საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზანია:

- ✓ თანამედროვე მოთხოვნებისა და კომპეტენციების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი დიპლომირებული სპეციალისტების, ბაკალავრების, დიპლომირებული მედიკოსების, მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება;
- ✓ დაინტერესებული პირებისთვის მაღალი ხარისხის განათლების შეთავაზება;
- ✓ საგანმანათლებლო დაწესებულებების უზრუნველყოფა სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი პედაგოგიურიკადრებით;
- ✓ ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევების განხორციელება ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის, ეკონომიკური ძლიერების, თავდაცვისუნარიანობის, დემოკრატიული პრინციპების დაფუძნებისა და სულიერების ამაღლების მიზნით ისეთ დარგებში, როგორიცაა: საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული, სოციალური, სამართალ-მცოდნეობის, მათემატიკური და კომპიუტერული მეცნიერებები, საინჟინრო, ტექნოლოგიური, ბიზნესის, ჯანდაცვის მიმართულებები და სოფლის მეურნეობის დარგები;
- ✓ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალი, ტრადიციები და გარკვეულწილად, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, უპირველესად — შავი ზღვის ფლორა და ფაუნა, სუბტროპიკული და მთიანი ზონის ბიომრავალფეროვნება, ეკოსისტემები, ტურიზმი, აგრარული, მემბრანული და ნავთობის ტექნოლოგიები, ისტორიული წარსული, ენა, კულტურა, სარწმუნოება, ეთნოლოგია, არქეოლოგია, გერონტოლოგიისა და გერიატრიის საკითხები განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პრიორიტეტებს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გლობალური მიზანია სწავლების, ცოდნის დონისა და კვლევის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.

სამუშაო მიდგომები

სწავლების ტრადიციული მეთოდები თანამედროვე მიდგომებით შევსებას მოითხოვს ძირითადად, არა იმიტომ, რომ ისინი მოძველდა, არამედ იმიტომ, რომ შეიცვალა სწავლების სუბიექტი – სტუდენტი.

თანამედროვე პირობებში იზრდება მოთხოვნები სპეციალისტის პროფესიონალურ მომზადებაზე. ამასთან, აქტუალური ხდება პიროვნების ფორმირება, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება შემოქმედებითი აზროვნება, ინიციატივა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, რისთვისაც აუცილებელია ახალი მიდგომების, ფორმებისა და ტექნოლოგიების გამოყენება სწავლებაში.

სწავლების თანამედროვე მიდგომები ითვალისწინებს შემდეგი მეთოდების დანერგვას:

- ✓ ინტერაქტიული ტექნოლოგიები;
- ✓ სიტუაციური ამოცანები;
- ✓ საქმიანი თამაშები;
- ✓ პრობლემური ლექცია - მასალის გადაცემა რეჟიმში ,,მონოლოგი-დიალოგი“;
- ✓ კონკრეტული საწარმოო სიტუაციის ანალიზი;
- ✓ დისტანციური სწავლება;
- ✓ სწავლების პროგრამირება;
- ✓ სტაჟირება და ა.შ.

საჭიროა გაიზარდოს სტუდენტთა კომპეტენცია სწავლასთან დაკავშირებულ საკითხებში და დაინერგოს პრინციპი: - “ისწავლე სწავლა“. სტუდენტს უნდა ჩამოუყალიბდეს შეპირისპირების, შედარების, ანალიზის, სინთეზის, არგუმენტაციისა და დასკვნის გაკეთების უნარი;

აუცილებელია:

- ✓ ურთიერთობის კულტურის ფორმირება: “სტუდენტი-სტუდენტი“, “სტუდენტი - პედაგოგი“, “სტუდენტი - საზოგადოება“.
- ✓ პიროვნული ზრდის ხელშემწყობი პროგრამები;
- ✓ ღონისძიებების წავლის მოტივაციის ამაღლებისათვის;
- ✓ თემატური ლექციები, შეკრებების წავლებისა და სწავლის პრობლემებთან დაკავშირებით;
- ✓ სტუდენტთა ინფორმაციული უზრუნველყოფა.

ყურადღება უნდა მიექცეს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციისა და პედაგოგიური თვისებების შესაბამისობას სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მოთხოვნებთან.

მნიშვნელოვანია:

- ✓ პერსონალის პირადი კომპეტენტურობის ამაღლება განათლების სფეროში;

- ✓ სასწავლო პროცესის ორგანიზატორებისა და პედაგოგების პროფესიული კომპეტენციების ამაღლება;
- ✓ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მეცნიერ-თანამშრომელთა მუშაობა ინოვაციურ რეჟიმში, სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის მუდმივი სრულყოფა;
- ✓ სასწავლო და კვლევითი პროცესის დაგეგმვა ევროპული სტანდარტების მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამები უნდა ასახავდეს დარგის პრაქტიკულ და მეცნიერულ მხარეს, აგრეთვე დამსაქმებლის მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება უნდა მოხდეს კურსდამთავრებულთა, დამსაქმებლისა და ექსპერტების მიერ. ამასთან, უნივერსიტეტი ვალდებულია:

- ✓ შექმნას პირობები აზროვნების შემოქმედებითი ტიპის ჩამოყალიბებისა და ფორმირებისათვის;
- ✓ მოიზიდოს მაღალი პროფესიონალური, მეთოდური და ფსიქოლოგიური კომპეტენციის მქონე სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები;
- ✓ განახორციელოს სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინფორმაციული, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფა;
- ✓ დაამყაროს კავშირები უცხოეთის წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- ✓ ხელი შეუწყოს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სტაჟირებას, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობასა და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას;
- ✓ უზრუნველყოს რეგიონული და საერთაშორისო მნიშვნელობის კონგრესების, კონფერენციების, სემინარების, ტრენინგების, საზაფხულო სკოლებისა და საერთაშორისო სემესტრების ჩატარება;
- ✓ შექმნას პირობები სტუდენტთა თვითგანვითარების, დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბების, მათი პრობლემების გადაჭრისა და უფლებების დაცვისათვის;
- ✓ უზრუნველყოს შესაბამისი ბაზებით სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ჩატარება.

სასწავლო და კვლევითი პროცესის ვალიდაცია

ვალიდაცია-ხარისხის უზრუნველყოფის განუყოფელი ნაწილია. ის ითვალისწინებს სასწავლო პროცესისა და მისი წარმატებულად განხორციელებისათვის საჭირო რესურსების სისტემურ შესწავლას. მისი დანიშნულებაა განსაზღვროს მიმდინარე პროცესების ადეკვატურობა წინასწარ დასახულ მიზნებთან.

ვალიდაცია თავისთავად არ აუმჯობესებს, არ სრულყოფს პროცესებს. ის მხოლოდ ამტკიცებს (ან არ ამტკიცებს), რომ პროცესი შემუშავებულია სათანადოდ და იმყოფება კონტროლის ქვეშ. საზოგადოდ, ნებისმიერი შემუშავება დასკვნით სტადიაზე უნდა დასრულდეს ვალიდაციით. ის მოიცავს პროცესს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებიდან მის საბოლოო განხორციელებამდე. ვალიდაცია საჭიროებს სასწავლო პროცესზე, ტექნიკურ უზრუნველყოფაზე, ხარისხის

გარანტიასა და კონტროლზე პასუხისმგებელი ქვედანაყოფების მჭიდრო თანამშრომლობას.

ვალიდაცია შეიძლება სხვადასხვა თვალთახედვით იყოს უმაღლესი სასწავლებლისათვის წარმატების მომტანი. ის აღრმავებს პროცესების გაგებას, ამცირებს შეუსაბამობებისა და გართულებების რისკს და ამგვარად, იძლევა სასწავლო პროცესების ნორმალურად წარმართვის გარანტიას.

საუნივერსიტეტო გარემოს შეფასება

საუნივერსიტეტო გარემო კლასიფიცირდება ძლიერ და სუსტ მხარეებად, გარე ფაქტორები კი - შესაძლებლობებად და საფრთხეებად.

<u>ძლიერიმ ხარეები</u>:

- ✓ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა;
- ✓ სტუდენტთა მზარდი რაოდენობა;
- ✓ დამსაქმებელთა ინტერესი;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნება;
- ✓ უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების დაინტერესება პარტნიორული თანამშრომლობით;
- ✓ სამეცნიერო პოტენციალი;
- ✓ წარმატებული კვლევითი მუშაობა;
- ✓ მაღალი კომპეტენციის სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები.

<u>სუსტიმხარეები</u>:

- ✓ ფინანსური რესურსების სიმცირე;
- ✓ გაუმართავი ინფრასტრუქტურა;
- ✓ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეუსაბამობა თანამედროვე მოთხოვნებთან.

<u>საფრთხეები:</u>

- ✓ შეზღუდული ფინანსურ ირესურსების პირობებში უნივერსიტეტის განვითარების შეფერხება;
- ✓ სახელმწიფო ან კომერციული სტრუქტურების მხრიდან კურსდამთავრებულებსა და გამოყენებითი ხასიათის კვლევით საქმიანობაზე მოთხოვნისშე მცირება.

<u>რესურსები</u>

- ✓ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი ადამიანური რესურსები, შესაბამისი კვალიფიკაციითა და კომპეტენციით.
- ✓ უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი შენობა. ამასთან, მოსახერხებელია უნივერსიტეტის ადგილმდებარეობა. აუდიტორიები საჭიროებს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის აღჭურვას. საკმარისი არ არის უნივერსიტეტის ფინანსური რესურსები.

- ✓ თანამშრომელთა მუშაობა, არსებული პრობლემების გათვალისწინებით, მოითხოვს გაუმჯობესებას.
- ✓ უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს ზრუნვა თანამშრომელთა სოციალურ დაცვაზე, ასევე უნდა უზრუნველყოს პერსონალის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება დიფერენცირებულად, მათი დასაქმებადობის გათვალისწინებით.
- ✓ უნივერსიტეტში კადრების შერჩევა და განახლება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობის შესაბამისად, საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

მართვის სტილი

უნივერსიტეტის მართვის სტილი უნდა დაეფუძნოს პიროვნულ და გუნდურ პასუხისმგებლობას;

უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს თანამშრომელთა დროულ ინფორმირებულობას, დასახული ამოცანების შესრულებას, უზრუნველყოფს თანამშრომელთა ჩართვას გადაწყვეტილებების მიღებისა და მართვის პროცესში;

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა გაიზიარებს საერთაშორისო გამოცდილებას უმაღლესი განათლების სფეროში და ხელს შეუწყობს სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებას;

სტრატეგიულიმიზნები

I. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაინტერესებულ პირებს შესთავაზებს მაღალიხარის ხისგანათლებას და ცოდნას, კერძოდ:

- ✓ უნივერსიტეტის ტუდენტებს შეუქმნის ყველა პირობას წარმატების მიღწევისათვის, ასევე შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბებისა და აქტივობისათვის.
- ✓ უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს სათანადო ადგილი დაიმკვიდრონ დინამიურად განვითარებად და ცვალებად გარემოში.
- ✓ სასწავლო პროცესში უნივერსიტეტი ორიენტირებული იქნება მეცნიერების თანამედროვე მიღწევების გამოყენებაზე. სწავლა და მუშაობა წარიმართება მუდმივი განახლების რეჟიმში.
- ✓ უნივერსიტეტი საკუთარ ინტელექტუალურ მიღწევებს ხელმისაწვდომს გახდის არა მარტო სტუდენტებისა და უნივერსიტეტის თანამშრომლებისათვის, არამედ ფართო საზოგადოებისათვის.

II. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი შექმნის საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სამეცნიერო კვლევით ცენტრებს, კერძოდ:

- ✓ შეიძენს კვლევებისათვის საჭირო თანამედროვე ხელსაწყო-დანადგარებს;
- ✓ ხელს შეუწყობს ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადებას, მოიზიდავს და კვლევებში ჩართავ სახალგაზრდა დოქტორანტებსა და მკვლევარებს, შეუქმნის მათ ხელსაყრელ სამუშაო პირობებს;
- ✓ მოიზიდავს მაღალი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე სამეცნიერო კადრებს შესაბამისი სამოტივაციო პროგრამების საშუალებით;
- ✓ უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერ-

ციალიზაციას;

- ✓ უნივერსიტეტი დანერგავს ინდივიდუალურ სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს სწავლების სხვადასხვა საფეხურზე და ხელს შეუწყობს მათ განხორციელებას.

III. უნივერსიტეტი ჩაატარებს მარკეტინგულ კვლევას ე.წ. ,,მომწოდებლიდან - მომხარებლამდე". კვლევის შედეგად შეაფასებს აბიტურიენტთა მოტივაციას რსუ-ში სწავლის გასაგრძელებლად, შეისწავლის დამსაქმებელთა მოსაზრებებს კურსდამთავ-რებულების დასაქმებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტი მიიღებს შესაბამის ზომებს გამოვლენილი პრობლემების მოსაგვარებლად.

IV. უნივერსიტეტი სისტემატურად იზრუნებს სტუდენტთა და აკადემიური პერ-სონალის ინფორმირებულობაზე, მათ ჩართვაზე მართვის პროცესებში.

V. უნივერსიტეტი მეცნიერების განვითარებისა და მოთხოვნების შესაბამისად გადასინჯავს და შეიტანს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამებში.

VI. უნივერსიტეტში სწავლა და სწავლება იწარმოებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. ყველა სტუდენტისა და პროფესორ-მასწავლებლისათვის ხელმისაწვდომი იქნება უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

VII. უნივერსიტეტი სტუდენტებსა და პროფესორ მასწავლებლებს შესთავაზებს ტრეინინგებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით და დაეხმარება უცხო ენის შესწავლაში.

VIII. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამეცნიერო აპარატურა - დანადგარების გამოყენებას სასწავლო პროცესსა და სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში, როგორც სტუდენტთათვის, ასევე პროფესორ-მასწავლებლებისათვის.

IX.უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს სტუდენტთა, ახალგაზრდა მეცნიერთა და მკვლევართა მობილობას და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას.

X. უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერცია-ლიზაციას.

XI. უნივერსიტეტი იზრუნებს მეცნიერთა კვლევებისა და გამოგონებების კონფი-დენციალობის, ასევე საავტორო უფლებების დაცვასა და მათ პრაქტიკაში ჩანერგვაზე.